№ 1/3 26 მარტი 2013 წ.

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ, №13–ში არსებული დამხმარე შენობების სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარებისას შენობა №2-ის (ნაკვ. №004/133) კონსტრუქციული მდგრადობის შესახებ

ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ, №13–ში არსებული დამხმარე შენობები და შენობა №2 აშენებულია სხვადასხვა პერიოდში. მომიჯნავე შენობები ერთსართულიანია.

ჩვენს მიერ შეწავლილი იქნა სადემონტაჟო შენობის საძირკვლების, კედლების, შენობის გადახურვის მდგომარეობა და ტიპი. სადემონტაჟო შენობის ზომები გეგმაში 46,70 მ X 7,20 მ. შენობის საძირკვლები შესრულებულია ლენტური ტიპის სიგანით, 0,8 მ. მზიდ კედლები შესრულებულია აგურით, სიგანით 0,6 მ. კედლების სიმაღლე შენობის კიდეებზე 4,1 მ-ია, ხოლო კეხის სიმარლე კი 7,0 მ. სახურავი შესრულებულია ხის ნივნივებზე, დაშიფერებული ლითონის ფენილის მოწყობით.

მომიჯნავე შენობა, სადემონტაჟო შენობასთან შედარებით, აშენებულია გვიანდელ პერიოდში და წარმოადგენს მონოლითური რკინა-ბეტონის კარკასულ ერთსართულიან შენობას. საძირკვლები სავარაუდოდ შესრულებულია წერტილოვანი ტიპის. მზიდი კონსტრუქციები შესრულებულია მონოლითური რკინა-ბეტონის სვეტებისა და კოჭების ერთობლობით. სვეტებს შორის სილიკატური აგურით აშენებულია 0,4 მ-ის სიგანის კედლები.

შენობა №2-ის ვიზუალური დათვალიერებისას არ შეინიშნება არც საძირკვლების დეფორმაციისა და არც კედლების დეფორმაციისაგან გამოწვეული ბზარები. შენობა კარგ მდგომარეობაშია. სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარებისას შენობა №2-ს არანაირი ზიანი არ მიადგება.

დასკვნა: ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ, №13–ში არსებული დამხმარე შენობების სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარებისას შენობა №2-ის (ნაკვ. №004/133) კონსტრუქციული მდგრადობა უზრუნველყოფილია და ამით შენობას ზიანი არ მიადგება.

შპს „გრაალი“-ს დირექტორი: / გ. გეთიაშვილი /

ქ. თბილისი ბ.ხმელნიცკის ქ. კორპ. №8 ბ. №55 ტ. 180-033 , 8(99)-111-650